სოციალდემოკრატიული ფურცელი

ქუთაისი, პარასკევი. 30 დეკემბერი 1905
ნომერი 3 კაპიკი. ✳ წელიწადი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 13. ყოველ-დღიური გაზეთი. № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალდემოკრატიული ფურცლის“
რედაქცია იღებს გაზეთში დასაბეჭდათ ყოველგვარ განცხადებებს.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პწკარი თორმეტი ნომერი ასოთი თითოჯერ დაბეჭდვა 10 კაპ., მეოთხე გვერდზე 5 კაპ.

ადრესი: ქუთაისი. ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“

ხმა პროლეტარიატის.

თუ უკანასკნელ დრომდის რუსეთის დედა ქალაქი მოსკოვი განთქმული იყო თავის ვეება საყდრებით, 8 დეკემბერს შემდეგ ის ერთბაშათ შეიქნა დიდებული პროლეტარიატის მიერ მოხთენილ რევოლიუციით, მთელი ქვეყნიერება დღეს მხოლოთ და მხოლოთ მოსკოვზე ლაპარაკობს, ყველას ენაზე აკერია მოსკოვში პროლეტარიატის 12 დღის განმავლობაში დღე და ღამ განუწყვეტელი ბრძოლა მეფის მთავრობასთან და მეფის ჯართან. მეფის მთავრობამ თავის სიმხეცით გადააჭარბა ყველა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებიც ერთ დროს ებრძოდენ აჯანყებულ რევოლიუციონურ ხალხს, მეფის მთავრობამ მოსკოვში მეტი ველურობა ჩაიდინა, ვიდრე მანჯურიაში ბრძოლის ველზე: არც რუსის ჯარს და არც იაპონელებისას სანიტართა რაზმები არ დაუხვრეტია — არც კი შეხება, მათ მოსკოვში კი სანიტართა რაზმები და დაჭრილთათვის კარეტები დახვრიტეს მთავრობის ბრძანებით. ლიაოიანში მხოლოთ სურსათს უკიდებდენ ცეცხლს და სწვავდენ, მოსკოვში რევოლიუციონერთა თავშესაფარებს ცეცხლს უკიდებდენ და წვავდენ შიგ ცოცხალ ადამიანებს, მანჯურიაში ტყვეებს არც ერთი მხარე სახრჩობელას არ პირდებოდა, მოსკოვში კი ტყვე რევოლიუციონერებს [illegible]ლათი ემუქრებიან. ჩანს მეფის მთავრობა ჯერ კიდევ ვერ გამაძღარა მშრომელი ხალხის სისხლით; ის, რაც დრო მიდის, მეტსა და მეტს სისხლს მოითხოვს. მოსკოვში მომხთარ საისტორიო ამბები ჩვენ აშკარათ გვეუბნება, რომ ვიტეს კაბინეტს მიზნათ გაუხთია რევოლიუციის ჩაქრობა და ამისათვის ის არ ზოგავს არავითარ საშვალებას; ამ დღისათვის სწორეთ შეუნახავს უკანასკნელი სისტემის ზარბაზნები, ტყვიისმტყორცნელებით და საუკეთესო ვინტოვკები; ვიტე მთელ თავის ენერგიას, მთელ თავის გამჭრიახობას ქუჩებში მებრძოლ ხალხის დასამარცხებლათ ხმარობს. თუ გენარალი ტრეპოვი ოქტომბერში ჯარს უბძანებდა პატრონებს ნუ დაიშურებთო, დეკემბერში გრაფი ვიტე აფიცრებისგან თავგამოლაყებული ჯარებს უბრძანებ: ნუ დაიშურებთ პატრონებს, ნუ დაიშურებთ ყუმბარებს, ოღონდ მეტი სისხლი დაიქცეს ქუჩებში და მოედნებზე, ბევრი ხალხი დაიხოცოს, იქნებ რამენაირათ ამ გაუთავებელ რევოლიუციას ბოლო მოეღოსო. აფერუმ, ახლათ მოვლენილო რუსეთის მხსნელო, გრაფო ვიტე! თქვენ სახეს ამდენხანს პირბადე ფარვიდა ხალხის თვალთაგან, ახლა ეს პირბადე უკვე ახდილა და თქვენი ნამ-[illegible] ნოა. რაც მოსკოვში მოხთა, ეს თქვენი საქმეა. თქვენი სიჩუმე თქვენვე გამტყუნებთ. იცოდეთ, მებრძოლი პროლეტარიატი სულ მოკლე დროში პასუხს მოგთხოვთ და გირჩევნიათ დაუყონებლივ შეუდგეთ პასუხის მომზადებას. შეიძლება თქვენ ის წარმოიდგინოთ, რომ, რადგანაც დეკემბერში პროლეტარიატმა თავის წითელი დროშები ვერ ააფრიალა სამფეროვანი დროშების ადგილას და თავის დიქტატურა ვერ გამოაცხადა, ის ძლეულია, იმან ბრძოლაზე ხელი აიღო, ის უკანასკნელათ გატყდა წელში და იმის წელში გამართვა შემდეგში შეუძლებელია. ასეთი ფიქრი და წარმოდგენა თქვენი მხრით შეცთომა იქნებოდა. გაიხსენეთ, გრაფო ვიტე, 9 იანვარს აქეთ რა ხთება რუსეთში? გაიხსენეთ რამდენი სისხლი დაიქცა, რამდენი პატრონა და ყუმბარა დაიხარჯა მშრომელი ხალხის დასათრგუნველათ. განა შეჩერდა პროლეტარიატი ერთი წუთით? განა დაყარა მან იარაღი? განა გამოგიცხადათ მან მორჩილება? არა, არა და არა. გეტყობათ თქვენ სისხლი გწყუროდათ! დღეს თქვენი წყურვილი დაკმაყოფილებული უნდა იყოს მეტი რა გნებავთ? მთელი მოსკოვის ქუჩები, მოედნები და სახლები სისხლით შეიღება. არ დაზოგეთ არც მოხუცი, არც დედაკაცი, მუსრი გაავლეთ. იდღესასწაულეთ გამარჯვება! აკი კიდეც გილოცვენ ევროპის კაპიტალისტები გამარჯვებას. და ამ დღესასწაულობის დროს ნუ დაგავიწყდებათ, რომ მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი: პროლეტარები და გლეხები დახოცილ მებრძოლთა წინაშე საშინელ ფიცს დებენ პასუხი მოგთხოვონ და სამაგიერო გადაგიხადონ.

ფელეტონი

სოციალიზმის ისტორიიდან.

შემდეგი *)

როგორც წინა წერილებიდან დავინახეთ უტოპისტების სოციალიზმი მეცნიერულ ნიადაგს და მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებული იყო. ისინი ისხდენ თავთავის კაბინეტში და მსჯელობდენ არსებული კაპიტალისტური წყობილება არ ვარგა, ის უნდა შეიცვალოს ასე და ასეო. ის საკითხი, თუ რათ უნდა შეცვლილიყო კაპიტალისტური რეჟიმი ისე, როგორც მათ უნდოდათ, და არა სხვანაირათ, ან რა ძალა შეცვლიდა მას, ამგვარი საკითხი მათ სრულებით არ აინტერესებდა. სოციალიზმი მათ ლოღიკურათ გამოყავდათ გონებიდან და არა აუცილებლობით თვით ცხოვრების განვითარებიდან. უტოპისტების სოციალიზმი არის ნაყოფი არა ცხოვრების მეცნიერულათ შესწავლისა, არამედ კეთილი გულისა და პატიოსანი სურვილებისა; ამიტომ ეს სოციალიზმი არის სუბიექტიური. ნამდვილ ნიადაგზე სოციალიზმი კარლ მარქსმა დააყენა. მარქსმა სოციალიზმი კეთილ გულზე და პატიოსან სურვილებზე კი არ ააშენა არამედ კაცობრიობის ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ღრმა ფილოსოფიურ შესწავლაზე; მარქსის აზრით სოციალიზმი არის აუცილებელი საფეხური ისტორიული განვითარებისა, სოციალიზმი იბადება თვით კაპიტალისტური წყობილებიდან. ამიტომ მარქსის მეცნიერული სოციალიზმი წარმოადგენს ობიექტიურ ფაქტს.

მარქსი დაიბადა 1818 წელს 2 მაისს ტრირშიდ, (პრუსიაშია); გარდაიცვალა 1883 წელს ლონდონში 65 წლის. ის იყო ჩამომავლობით ებრაელი და ეკუთვნოდა მდიდარ და წარჩინებულ ოჯახს: მამა მისს საპატიო ადგილი ეჭირა პრუსსიის ბიუროკრატიულ წრეში. მარქსმა გაათავა ბონნის იურიდიული ფაკულტეტი და მამის შემწეობით სახელმწიფო სამსახურში დიდ ნაბიჯს წასდგამდა, მაგრამ მან უარყო ეს გზა და პირველ ხანებში ფილოსოფიის პროფესორათ მომზადება უნდოდა. მისი მშფოთარე სული და ძლიერი, ენერგიით სავსე ბუნება მალე გაიტაცა საზოგადოებრივმა კითხვებმა; მავნე მიმართულებისათვის პრუსიის მთავრობამ მას დევნა დაუწყო და მარქსმა პარიჟს მიაშურა. მისმა ნიჭმა და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ პარიჟში ფართო ასპარეზი იშოვა, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ახალ აზრდა მარქსში თავისი მოსისხლე მტერი დაინახა და მარქსი იძულებული იყო, აქედანაც გაქცეულიყო 1844 წელს. მან მიაშურა ბრიუსსელს, მაგრამ აქაც ის ოთხ წელიწადს გააჩერეს და 1848 წელს იძულებული იყო, ლონდონში გაქცეულიყო. ლონდონში გაატარა ამის შემდეგ მან მთელი თავისი სიცოცხლე. მეცნიერულ შრომასთან ერთათ აქედან ის ეწეოდა აგიტაციას; მან პირველმა შექმნა ინტერნაციონალური პროლეტარიატი და დიდხანს მეთაურობდა მას. ერთის სიტყვით გენიოსი მეცნიერი, გენიოსი პრაქტიკი, დიადი ბელადი და დიდი აგიტატორი. მასში ყველა ერთათ იყო შეერთებული 1864 წ. მარქსმა დააარსა ლონდონში „მუშათა საერთაშორისო ასოციაცია“, რომლის მიზანიც იყო მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანება ერთათ მოქმედებისათვის, საერთო კითხვების ერთათ გადაწყვეტისათვის და ერთათ ბრძოლისათვის. მარქს

*) იხ. „სოც.-დემ. ფურც.“ № 12.

წვრილი ბურჟუაზული და პროლეტარული სოციალიზმი.

გაგრძელება*)

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ აღნიშნულ კითხვაზედ არსებობს ორი შეხედულება. პირველი შეხედულება სრულიად ეწინააღმდეგება მეორეს. აი სწორეთ ეს წინააღმდეგობა უნდა გავარკვიოთ, თუ გვსურს დავინახოთ ის პრინციპიალური უფსკრული, რომელიც არსებობს სოციალისტ-რევოლ[illegible]ონერებს და სოციალ-დემო[illegible] შორის.

პირველთ[illegible]ი გლეხთა მოძრაობა სოციალ[illegible]ური მოძრაობაა, სოციალდემოკრა[illegible]ების აზრით კი ეს მოძრაობა ბურჟუაზულ-დემოკრატიული მოძრაობაა. აქედან ცხადათ ჩანს, თუ რაოდენ უვიცობას იჩენენ სოციალისტ - რევოლიუციონერები, როცა ისინი დაჟინებით იმეორებენ (იხ. მაგალითათ, № 75 რევოლ. რუსეთი) ვითომდა ორტოდოქსალური მარქსისტები გლეხთა კითხვას უყურადღებოთ სტოებენ. რა საშვალებით უნდა ვიბრძოლოთ ასეთი უვიცობის წინააღმდეგ? უნდა ვიმეოროთ ანბანი, შოვყვეთ ნაროდნიკულ შეხედულებათა ისტორიას, განვმარტოთ ასჯერ და ათასჯერ, რომ აქ განსხვავება იმაში კი არი თუ ვის სურს ან ვის არ სურს [illegible] გლეხთა მოძრაობას რუსეთში, გლეხთა კითხვას ერთი ასე აფასებს, მეორე ისე; დიახ, სწორეთ ამ მოვლენის სხვადასხვა გვარათ დაფასებაშია საქმე. ვინც ლაპარაკობს, ვითომც მარქსისტები ვერ[illegible] უვლიან გლეხთა კითხვას [illegible]უსეთში, სრული უვიცია: გადაიკითხეთ მარქსისტების უმთავრესი თხზულებები, მაგალითათ

*) იხ „სოციალდემოკრატიული ფურცელი № 8.

ამ ასოციაციის ბელადი და სულის ჩამდგმელი იყო. პროლეტარიატის სოლიდარობას და გაერთიანებას მარქსმა ამგვარათ ჩაუყარა საძირკველი და დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი მედიდურათ გადმოყურებს მთელ ევროპას, დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი მთელს ევროპაში ერთათ იბრძვის და ერთათ ახორციელებს თავის მოწოდებას. მარქსის დიდებული მოწოდება: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, აღსრულდა. პროლეტარიატს ეს არის გაერთიანდა. ახლა ის ერთათ ბრძოლას, საერთო რევოლიუციის განხორციელებას შეუდგა. მარქსთან ერთათ მოღვაწეობდა პროლეტარული სოციალიზმის მეცნიერულ გზაზე ენგელსი და დღევანდელი პროლეტარული მოძრაობა და ამ მოძრაობის განვითარებისა და საბოლოო მიზნის მეცნიერული დასაბუთება ეკუთვნის ორივეს: მარქსსა და ენგელსსაც. ენგელსი დაიბადა გერმანიაში 20 ნოემბერს 1820 წ. მამა მისი იყო მდიდარი მეფაბრიკე. სწავლის დამთავრების შემდეგ ოცდა ორი წლის ენგელსი მანჩესტერში დაბინავდა და ქარხანაში შევიდა მოხელეთ. მალე მან ლიტერატურულ შრომას მიყო ხელი. მარქსთან ერთათ ის დადიოდა ევროპის ერთი ალაგიდან მეორეში და ხელმძღვანელობას უწევდა და მეთაურობდა მუშათა გათვითცნობიერების საქმეს და სოციალისტურ მოძრაობას. 48 წელს მარქსთან ერთათ მან გამოსცა კომუნისტური მანიფესტი; ინტერნაციონალის დაარსების შემდეგ ის ლონდონში გადასახლდა. აქ ის დაუღალავათ მუშაობდა თუ მწერლობის, თუ პრაქტიკულ ასპარეზზე. მარქსმა თავის სიცოცხლეში მოასწრო კაპიტალის მხოლოთ პირველი ტომის გამოცემა. მეორე და მესამე ტომის დაუწყობელი, გაუსწორებელი და შეუვსებელი ხელთნაწერები დარჩა და ამ ხელთნაწერების გასწორებაზე, დამატებაზე და გამოცემაზე ენგელსს დიდი შრომა მიუძღვის. ენგელსი გარდაიცვალა 1895 წელს 5 მარიამობისთვეს.

იმ დროს, როდესაც მარქსი პირველათ გამოვიდა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე, ბევრი გამოჩენილი ეკონომისტები იმ აზრის იყვენ, რომ კაპიტალისტური ფორმა წარმოებისა და ბურჟუაზული წყობილება უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის განვითარებისაო. კაპიტალისტური წარმოებისა და ამ წარმოების მომავლის გასაოვალისწინებლათ მარქსმა მიმართა ისტორიას. ისტორიის საფუძვლიანათ შესწავლით, მან გამოარკვია, რომ ისტორიული ცხოვრება, საზოგადოებრივი ფორმები იცვლებიან და ამ ცვლილების მიზეზი ადამიანის გონებრივი იდეიური განვითარება კი არ არის, პირიქით იდეიური განვითარება თვითონ არის შედეგი ცხოვრების განვითარებისა. ეკონომიური პირობები შეადგენენ საფუძველს ისტორული ცხოვრებისას, ეკონომიური პირობები იწვევენ კლასთა ბრძოლას და ამგვარათ მთელი ისტორია კაცობრიობისა არის მხოლოთ ისტორია კლასთა ბრძოლისა. ყოველგვარი საზოგადოება განვითარების რა საფეხურზედაც უნდა იყოს ის, საჭიროებს წარმოებასა და ნაწარმოების განაწილებაში. წარმოების ფორმას და ნაწარმოების განაწილების წესრიგზე დამყარებულია შესაფერი საზოგადოებრივი წყობილებაც. აი ამ წარმოების ფორმასა და განაწილების წესრიგს ეწოდება ეკონომიური პირობები, რომლებიც შეადგენენ ენგელ-

---

დეპეშები.

ბასრა. დიდიხნიდან შეჩხეულმა მღელვარებამ ამ ბოლო დროს ძალიან მკაცრი ხასიათი მიიღო. აშკარა აჯანყების სათავეშივე მოსასპობათ ტუკუმში გაიგზავნა რვა როტა ქვეითა ჯარისა, 2 კავალერიის ესკადრონი და ერთი ბატარეა მინდვრის არტილერიისა. აქ მოსული ჯარები დაბინავდა ერთი სასტუმროს ეზოში. როცა ჯარს მიეძინა, სასტუმროს უცებ ცეცხლი გაუჩნდა ყოველი მხრით. ჰიშკრები გარიდან დაკეტილი აღმოჩნდა და ქუჩები მავთულებით იყო გადაღობილი. ცეცხლში გახვეულმა დრაგუნებმა გამოამტვრიეს კარები და თავს უშველეს ქუჩისკენ, მაგრამ აქ მათ დაუშინეს თოფები სახლებიდან, კუთხეებიდან და სამრეკლოებიდან. თითქმის ყველა დრაგუნები ამოხოცეს. რაღაცნაირათ გადარჩა ერთი ოფიცერი და ორი სალდათი, მორთეს საყვირებით ძახილი და მოირბინა ქვეითა ჯარებმა, რომელსაც ი[illegible]ი მედგარი სროლით შეხვდენ, რომ გაიქცენ ქალაქიდან. ქვეითა ჯარს უბრძანეს შამოხვიეოდენ ქალაქს და იმათაც ისროლეს ქალაქში ოთხი ზარბაზანი. ქალაქის თავს გამოეცხადა, რომ თუ დილის 9 საათამდი აჯანყებულები არ მიცემენ იარაღს, ზარბაზნების სროლა ხელახლა ატყდებაო. ქალაქში თეთრი ბაირაღი გამოფინეს. აჯანყებულები 4000 კაცი იყო. იმათგან რამდენიმე ასი მოკლეს და დაჭრეს.

კიევი. 16 დეკემბერი. შულიავკაში, სადაც პოლიტეხნიკური ინსტიტუტია, გაძლიერებულმა პოლიციამ და ჯარებმა გაჩხრიკეს მუშების ბინები. ზოგიერთ მუშების ბინებიდან სროლა ატყდა, რაზედაც ჯარებმაც სროლით უპასუხეს. დაჭრილები არ არიან. დაიჭირეს 100-დი კაცი. წაიღეს მრავალი იარაღი.

ამ ადგილებში არის მექანიკური ქარხანა, სადაც ბუდეა რევოლიუციონურ მოძრაობისა. მუშები შეიარაღებული არიან. უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში მოკლეს 5 კაცი, ორი შპიონი და 3 პოლიციელი.

ხარკოვი. 16 დეკემბ. ღამით დაიჭირეს „Миръ"-ის ფაქტიური რედაქტორი გრედესკული; მას წაართვეს გაზეთის მთელი მასალა. დაჭერილია ნაფიცი ვექილები რაპპი, შიდლოვსკი და კულიკოვი.

ხარკოვი. 13 დეკემბერი. გუშინ გაიფიცენ ქარხნები და ფაბრიკები. კაზაკებმა დახოცეს 20 და დაჭრეს 106 კაცი; გაზეთები არ გამოდის.

ხარკოვი. 17 დეკემბერი. 12 დეკემბერს, დილის 8 საათზე ყველა ქარხნებში დაარეკეს გუნის სახელოსნოებში გაისმა ქარხნის საყვირის შეპირებული ხმა და შეგროვდენ მუშები, რომ შუადღეისას თავი მოეყარათ ნიკოლაევის მოედანზე და იქიდან წასულიყვენ ციხეში ადგილობრივ პრესის და ორგანიზაციების წარმომადგენლების დაჭერილთა განსათავისუფლებლათ.

ტაგანროგი. 17 დეკ. ქალაქი გამოცხადებულია განსაკუთრებულ დაცვის წესებზე.

ოდესა. 17 დეკემბ. ოდესაში გამოცხადდ. სამხედრო წესები.

ტამბოვი. 18 დეკემბ. ვიცე გუბერნატორი ბოგდანოვიჩი გუშინ საღამოს გარდაიცვალა ღენერალ-ღუბერნატორის სახლში (გადმობეჭდილია „Руск. Вѣд.")

რუსეთის ქრონიკა

დროებითი მთავრობა ნოვოროსიისკში. მნახველების სიტყვით ნოვოროსიისკიდან იალტაში ჩამოსულებს უნახავთ, რომ იქიდან ჩამოტანილ საქონლებს აზის სარევოლიუციო პარტიების ბეჭედი. რუსეთის საზოგადოების გემი „სევასტოპოლი" რევოლიუციონერების ხელშია და ასრულებს ადგილობრივ პარტიის დავალებებს. ქალაქში სამაგალითო წესრიგია, რაიც სახარბიელოა მშვიდობიანობის დროსაც კი.

მშრომელთა სოლიდარობა. ოდესიდან კერჩში წამოსულებმა გვიამბეს, რომ რუსეთის საზოგადოების „პუშკინის" გემის გამოსვლის შემდეგ მოხდა რამდენიმე აფეთქება. ფიქრობენ ბომბები ესროლეს სასტუმრო „პარიჟს", სადაც იყვენ კაზაკების

აფიცრები. იგივე გემი ვერ გამოვიდა თავის დროზე, რადგან ჩუმათ ტყვიის მფრქვევლების დატვირთვა დაიწყეს. როცა ეს მატროსებმა შეამჩნიეს, გადაჭრით განაცხადეს, რომ თუ ტყვიის მფრქვევლები არ გადატვირთეს ისინი გაიფიცებიან. კაპიტანი მოელაპარაკა სამხედრო მთავრობას და ტყვიის მფრქვევლები ჩამოიღეს და დატოვეს ოდესაში. მშრომელთა სოლიდარობამ ამაშიაც გამოიჩინა ძალა.

გაფიცვა ვილნოს პოლკში. 16 დეკ. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ დარჩენილი ბატალიონის ჯარები გაიფიცენ და სამსახურზე უარი განაცხადესო. ხმა გამართლდა და აღმოჩნდა, რომ ყველა ვილნის ჯარებს დაეტოვებინა საინჟინერო უწყების კაზარმები და გადასულიყო როჟკოვის კაზარმაში. გაფიცულები შეიარაღებულნი იყვენ და მშვიდობიანათ იქცეოდენ. იმათ წარუდგინეს თავიანთ უფროსებს მთელი რიგი მოთხოვნილებათა და გაანებეს სამსახურს თავი. ამათ არ შეუერთდა მხოლოდ სამოსწავლო კამანდა, რომლებიც მიმართეს „ბუნტოვჩიკების“ წინააღმდეგ. მოლაპარაკებით ვერა გახდენ, თუმცა ტყვიის მფრქვევლებიც კი მიუახლოვეს იმათ. ტყვიის მფრქვევლები ისროლეს იმ კაზარმებში, სადაც ჩასხდენ აჯანყებულები. პატარა ნაწილი სალდათებისა დანებდა, უმეტესი ნაწილი კი გაიქცა. 15 კაცამდი მეთაურები დაიჭირეს და ციხეში ჩააჯინეს. გადაწყვიტეს გაეგზავნათ მუშების დეპუტაცია სამხედრო მთავრობასთან აჯანყებულთა გასათავისუფლებლათ. (გადმობეჭდილია „Южный курьеръ“-იდან, რომელიც ახლა სოციალდემოკრატების ორგანოა. № 21 დეკ.)

ცნობილმა პეტრე სტრუვემ დაიწყო პეტერბურგში ახალი გაზეთი „Полярная звѣзда“-ს გამოცემა, რომელიც შემდეგი წარწერით გამოდის; „Еженедѣльное общест. полит. и културно-философское изданіе“. თანამშრომლებათ მოუწვევია თითქმის ყველა ის მწერალპროფესორები, რომლებთანაც მას გაცხარებული ბრძოლა ქონდა ამ 4-5 წლის წინეთ. აიღეთ თუნდაც ცნობილი ა. ჩუპროვი, ნოვგოროდცევი და სხ. მისი პრინციპიალური მოწინააღმდეგენი ეკონომიურსა კითხვებში. ცვალებადობაც ასეთი უნდა!.. აი ასეთ მარქსისტებს უწოდა ამას წინეთ „ნაჩალომ“ „перебежщик“-ები.

—

მღელვარება ურალზე. ურალის სახელმწიფო და კერძო თოფის ხარხნებში, სადაც აუარებელი მუშებია დიდი მღელვარებაა. სარევოლიუციო პარტიებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ადმინისტრატიული მართველობა და გამოაცხადეს რესპუბლიკანური მართველობა ხალხისა. ქარხნებზე წითელი ბაირაღებია აფრიალებული. ქარხნების მართველობის მუქარა, რომ კაზაკებს შამოგისევთ და ამოგწყვეტთო, არ მოქმედობს აჯანყებულებზე. ესენიც ყველა მათ სიკვდილით ემუქრებიან. ყველა ისინი გამოიყვანეს ქარხნებიდან ბარაბანის ცემით და მარსელიოზის სიმღერით. ოლქის უფროსი ზელენცოვი და მისი თანაშემწე დატუსაღებულია.

—

პეტერბურგში დაიჭირეს „უმუშევრათ დარჩენილთა კამისია“, რომელიც ამორჩეული იყო მუშებისაგან გაფიცვის დროს დახმარების აღმოსაჩენათ.

—

დაჭერილია იქვე ჟურნალ „Сигналъ“-ის რედაქტორი ჩუკოვსკი და გაზეთ „Свобода“-ს რედაქტორები გუტიასი და უსასი. განთავისუფლებისათვის თხოვენ 10000 მან. სასამართლოში მიცეს აგრეთვე „Кіевс. нов.“ რედაქტორი ლოზინსკი.

—

გაზეთ „Молва“-ში დაბეჭდილია წერილი 200 პეტერბურგელი მუშების, რომლებიც დაუჭერიათ გაფიცვის გამო. წერილში აღნიშნულია, რომ მათთვის სასტიკათ უცემიათ.

—

დონეცის რაიონის დაბა ვარდოვკიდან იტყობინებიან, რომ იქ შეტაკება მომხდარა ჯარსა და აჯანყებულ მუშებს შორის, რომლებიდანაც 500 დაჭერილია და 300 მკვდარი.

ასისთავების ცხოვრებიდან.

—

გუშინ შესდგა ს.-დ. კლუბში არა ჩვეულებრივი კრება ასისთავებისა, რომელმაც დაადგინა შემდეგი: დარჩეს ძველი კომისია სანოვაგის შესახებ დღეიდგან სამი თვის ვადით და ყოველ გვარი კომისიის გადაწყვეტილება გამოცხადდეს „ს.-დ. ფურცელში“. კომისიის გადაწყვეტილება არსად იყოს განსაჩივრებული. ახალ წელიწადს და სხვა დღეებში აიკრძალოს თოფის სროლა და თუ ვინმე გაბედავს აგეთ ურჩობას, მაშინვე ათის თავებმა ჩამოართვან იარაღი და გადასცენ ორგანიზაციას. მიუპატიჟებლათ მღვდელმა არავისთან მივიდეს სტოლის საკურთხებლათ.

ამ წლის 18 დეკემბრიდან 23-დი სურსათის შემამოწმებელმა კომისიამ გადაავათვალიერეთ შემოსავალ-გასავლის წიგნები, ანგარიშები, ჩეკები და დუბლიკატები რამდენიმე ვაჭრისა, გამოვკითხეთ ბევრ მყიდველსა და გამყიდველს და შემდეგი გამოვიკვლიეთ და დავადგინეთ ჩვენი შეხედულობით:

1. შესახებ სვიმონ და ნიკოლოზ ბარქაიებისა: ისინი ყიდდენ და ყიდიან შაქარს გირვანქას 21-23 კაპ. ნავთი გაუყიდიათ [illegible] 2 მ., 2 მ. 40 კ., 2 მ. 65 კ. და 3 მ. წვრილათ უფრო ძვირათ. მარილი მოსულია ეფობის დროს, ე. ი. მაშინ როცა ყველა ფუთს 25 კ. ყიდიდა, ახლა ყიდის 50 კაპ. ამისავე ნოქარს, რომელიც ნავთის ბუდკაში ვაჭრობს, გაუყიდია გირვანქა სანთელი 60 კაპ., რამდენი გაყიდა დანამდვილებით ვერ შევიტყვეთ. ბარქაიას ყველაფერზე მომატებული აქვს ფასი. რადგანაც ბარქაიები შემთხვევით სარგებლობენ და ხალხს ყვლეფავენ, ამისათვის დავაჯარიმეთ ასი მანეთით, და დაეკლიტოს მაღაზია ოთხი დღით, 30 და 31 ამ თვისა და 4 და 5 იანვარს. მის ნოქარს, რომელიც ნავთის ბუდკაში ვაჭრობს, გადახდეს ჯარიმათ 10 მან. ბუდკა დაიკეტოს ერთი დღით, 7 იანვარს.

2. **ნიკიფორე ჯანელიძე.** ნავთი ამასაც გაუყიდია ძვირათ, მხოლოთ როგორ, ძნელი შესატყობია. როგორც სხვებმა გადმოგვცეს, სხვა სურსათსაც ძვირათ ყიდდა როცა ქონდა. დავაჯარიმეთ 50 მანეთით და ერთი დღის დუქნის დაკეტით, 31 დეკემბერს.

3. **ეგნატე ნარსია.** გაუყიდია ნავთი, შაქარი, სპიჩკა და სხ. მომეტებულ ფასებში. დავაჯარიმეთ 75 მ. დაეკეტოს მაღაზია 2 დღით, 30 და 31 დეკემბერს.

4. **რეკვავა ბეგლარ.** ვაჭრობს მარტო ნავთით გაუყიდია ფუთი 2 მ. 2 მ. 30 კ.—2 მ. 40 კ.—2 მ. 50 კ. და 30 მანათათ. დავაჯარიმეთ — 50 მ. თუმც არ დაემორჩილოს კომისიის გარდაწყვეტილებას ან კიდევ ძვირათ გაყიდოს ნავთი, სულ აეკრძალოს ვაჭრობა.

5. **გასილ მორჩაძე.** შაქარს ყიდის — 20 კ., ბრინჯს — 12 კ., ხახვს 5 კ. დავაჯარიმეთ 10 მანათით.

სისა და მარქსის აზრით საძირკველს საზოგადოებრივი წყობილებისას; პოლიტიკური და იურიდიული მოძრაობა, ლიტერატურული და ფილოსოფიური პირობანი ყოველი წყობილებისა წარმოადგენენ მხოლოთ ზედნაშენს; რომელიმე ეპოქის ისტორია ფილოსოფიაში კი არ არის, არამედ ეკონომიაში. განაწილების წესრიგი იწვევს საზოგადოების სხვადა სხვა კლასთა შორის ერთგვარ საწარმოვო ურთიერთობას. ავილოთ მაგალითათ დღევანდელი ცხოვრება. კაპიტალისტი ქირაობს მუშას; მუშა თავისი შრომით ქმნის საქონელს და ზედმეტ ღირებულებას ისევ საქონლის სახით. ზედმეტი ღირებულება იცვლება ბაზარზე ფულში; ამ ფულს ინაწილებენ კაპიტალისტი, ვაჭარი, სახლის პატრონი, ადგილის პატრონი, ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, მთავრობა და სხვ. ერთის სიტყვით მუშა სიმდიდრესა ქმნის, მას აქედან აძლევენ იმდენს, რომ ის სიმშილით არ მოკვდეს და დანარჩენს კი სხვები იტაცებენ, ერთი მეტ ნაწილს ისაკუთრებს, მეორე ნაკლებს, მესამე უფრო ნაკლებს და სხვ. აი ამ საერთო დამოკიდებულებას ეწოდება საწარმოვო ურთიერთობა. წარმოების ყოველგვარი ფორმა ავითარებს შეუჩერებლათ საზოგადოების საწარმოვო ძალებს, საწარმოვო ურთიერთობა კი დიდხანს რჩება უცვლელათ. საწარმოვო ძალთა გინვითარება ბოლოს იმ საფეხურს აღწევს, როდესაც საზარმოვო ურთიერთობა მას წინ ეღობება, ზღუდავს და აქედან განვითარების აუცილებლობა ითხოვს ამ ურთიერთობის დარღვევას. აი სწორეთ ამ ხანებში იბადება ახალი აზროვნება, ახალი მისწრაფებანი, ახალი იდეალები; საზოგადოებრივი წყობილება ირღვევა, ხოლო ახალი იდეების ზეგავლენით კი არა, არამედ საწარმოვო ძალთა ამბოხებით; თვით ეს ახალი იდეები მხოლოთ ამ ძალთა განვითარების ნაყოფი არიან; წარმოება იცვლის ძველ ფორმას, მყარდება ახალი საწარმოვო ურთიერთობა და მისი შესაფერისი ახალი საზოგადოებრივი წყობილება. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ მუდმივი ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა არ არსებობს, ყოველივე დროებითია, ყოველივე წარმავალია, ყოველივე ცვლილებაში და განვითარებაშია: ყოველი საზოგადოებრივი წყობილება დაფუძნებულია საწარმოვო ძალთა მდგომარეობაზე, საწარმოვო ძალთა განვითარება იწვევს შესაფერ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც თავის მხრით ავითარებს ამ ძალებს; განვითარების ერთგვარ საფეხურზე საწარმოვო ძალები არღვევენ საზოგადოებრივ წყობილებას და ამყარებენ ახალს და ამგვარათ ის რაც ერთ ხანაში საჭიროა მეორეში საჭირო აღარ არის, ის რაც ერთ ხანაში სასარგებლოა, მეორეში მავნებელია; ერთი სიტყვით ეკონომიური პირობები თითონ იწვევენ ამა თუ იმ ფორმას საზოგადოებრივი წყობილებისას და თითონვე არღვევენ.

ამგვარათ კაცობრიობის ისტორიაში მარქსი ხედავს შეუწყვეტელ ევოლიუციას და აქედან თავის თავათ იგულისხმება ის დასკვნა, რომ კაპიტალისტური წარმოება და ბურჟუაზული წყობილება ერთგვარი ფორმაა ამ ევოლიუციისა და ადრე თუ გვიან ისევე უნდა დაიშალოს, როგორც ძველი ფორმები დაიშალენ და დაუთმეს გზა ახალს; თუ როგორი უნდა იყოს ეს ახალი, ან როგორი ხასიათი აქვს ამ ისტორიულ ევოლიუციას (დიალექტიკური)- ამას ქვევით დავინახავთ, ხოლო მნიშვნელობა აქ იმ გარემოებას აქვს, რომ მარქსმა ისტორიულათ დაამტკიცა კაპიტალიზმის დარღვევისა და მის ნაცვლათ ახალი წყობილების წარმოშობის აუცილებლობა, რაც ვერ შესძლო არა თუ ვერც ერთმა უტოპისტმა, ვერც ერთმა მეცნიერმა მარქსამდე.

იგ. გომართელი.

5. **ნესტორ მარჩაძე.** კაპუსტო აქვს ეფობის დროს მოსული — მაშინ ყიდიდა 50 კაპ. ფუთს, ახლა ყიდის — 80 კაპ., კარტოფილს ყიდის 1 მან. 80 მაგივრათ. რაც აქვს ყველაფერზე ფასები მომატებულია. დავაჯარიმეთ — 10 მანათით.

7. **დუკა კიკვაძე.** შაქარს ყიდის 20—30 კაპეიკამდი; სპიჩკას — 12—15 კაპ, კარტოფილს — 1 მ. 20 კ. ბევრი მომჩივანი ყავს. დავაჯარიმეთ 100 მანათით.

8. **ნაკო მესიძე.** შაქარს ყიდის — 23 კაპ. და მეტათ, სილა შაქარს — 17 კაპ. ყველაფერზე ფასი მომატებული აქვს. გადახდეს ჯარიმათ 10 მანათი.

9. **გოკიელოგები** პეტრე და მიხეილ. კომისია ამათ მადლობას უცხადებს, რადგანაც შემთხვევით არ უსარგებლნიათ და ფასი არაფრისათვის არ მოუმატებიათ, პირიქით, როცა საქონლის მატარებლები არ დადიოდენ შაქარი ბაგაჟით წამოიღო, მოტანა ძვირათ დაუჯდა, შაქარი კი 18 კაპეიკათ გაყიდა — თითონ კი მეტათ უჯდა.

9. **მარილის გამყიდველები:**

მარილი ყველას მოტანილი ქონდა იაფობის დროს.

1. **ტოკმაჯეკი** სტეფანე ყიდის მარილს 60 კაპ. დაჯარიმებულია 10 მ.

2. **მეგრელაშვილი** ფილიპე ყიდის 50 კაპ. ჯარიმა 10 მან.

3. **გოკაია** პავლე ყიდის 50 კაპ. ჯარიმა 10 მან.

4. **ნიკოლეიშვილი** ნიკო ყიდის 60 კაპ. ჯარიმა 50 მან.

5. **ჯინჭარაძე** ივანე ყიდის 60 კ. ჯარიმა 10 მან.

სურსათის ნიხრი:

ხორცი I ხარისხის	12 კ.
მეორესი	11 კ.
ღორის	11 კ.
გოჭის	13 კ.
პური I ხარისხის	12 კ.
II ხარისხის	11 კ.
III ხარისხის	10 კ.
შაქარი I ხარისხის	19 კ.
II ხარისხის	18 კ.
სილა შაქარი	15 კ.
სპიჩკა	12 კ.
ბრინჯი აქულა	10 კ.
თეთრი	9 კ.
მარილი ფუთი თეთრი	30 კ.
„ შავი	25 კ.
კარტოფელი ფუთი	80 კ.
კაპუსტო	60 კ.
სანთელი	30 კ.
ხახვი	3 კ.
ლობიო	3 კ.

კომისია აფრთხილებს ვაჭრებს არ აუწიონ სურსათს ფასი თორემ სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

ვსთხოვთ ყველა მყიდველებს, თუმც ვინმემ გაბედოს რომელიმე სურსათზე ფასის მომატება მაშინვე შეატყობინონ რომელიმე კომისიის წევრს, რადგანაც ჩვენ არა გვაქვს საშვალება ყველას და ყოველ წამს თვალყური ვადევნოთ.

კომისიის წევრნი:
ნ. მესსი
ფ. სკლაძე
ნ. თუთბერიძე
ს. ტიბაძე
ი. სეთერჯი.

სოფლათ

ს. **გუბი.** (ქუთ. მაზრა) ეს სამოოთხი თვეა რაც გუბელები თუ სულ არა, ნახევრათ მაინც მოწყდა დღევანდელ რევოლიუციონურ მოძრაობას, და ნაცვლათ შეიარაღებისა და წითელი რაზმის მოწყობისა ყაჩაღების ალაგმას მოანდომეს მთელი თავიანთი ძალ-ღონე.

დიახ, სამწუხაროთ ამ დიდებულ დროს, როდესაც მეზობელი სოფლები შეიარაღებაზედ და წითელი რაზმის მოწყობაზედ ზრუნავდენ, აქ აღმოჩნდენ ერთი ჯგუფი ახალგაზდებისა, რომელთა მოქმედება გამოიხატებოდა მშვიდობიან მცხოვრებთა (არცვა-გლეჯაშიდ, საზოგადო დაწესებულებათა განადგურებაში, (იმ საზოგადო დაწესებულების, რომელიც შესდგებოდა ფეხ-შიშველა დედაკაცებისა, ქკრივ-ობლებისა და ასეთივე მამაკაცების სიმწრით ნაშოვარ გროშებისაგან), დღე და ღამე წანართმევ-წანაგლეჯი ფულებით არღნებით ქეიფშიდ და რევოლვერების წაღმა უკუღმა სროლაშიდ და ყველა ამას ახალი თაობის სახელით ჩადიოდენ ეს ხულიგან-ვაჟბატონები. ერთ ხანს ხალხი ვერაფერს ბედავდა ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც მოთმინების ფიალა აივსო, და როდესაც გაიგეს, რომ ს. დემოკრატია წინააღმდეგია ყოველივე ცარცვა-გლეჯის და ამავე დროს მიიღეს ფურცლებიც ქუთაისის კომიტეტის გამოცემული ყაჩაღების წინააღმდეგ, მოახდინეს გაფიცვა; შეფიცეს ერთმანეთს, რომ არ დაემალათ ასეთი კაცები არავის და ყოველივე საშვალება ეხმარათ მათ ასალაგმავათ. ამ მიზნით შესდგა სახალხო მილიცია და ამ მხრივ ახლა მშვიდობაა.

ჯერი მიდგა შეიარაღებაზედ და ახლა გაფაციცებით ემზადებიან შეიარაღებისათვის, კრებენ ფულებს და აგზავნიან ხონის ორგანიზაციაში უკანასკნელ პოლიტიკურ გაფიცვას აღტაცებით მიეგება აქაური ხალხი. გადაღება და აღტაცებითვე ელიან შედეგს. ძალიან სამწუხაროთ დაურჩათ შმიტის ჩამოხრჩობა, მაგრამ სამაგიეროთ აღტაცებით მიეგებენ ბაღტიის მხარის აჯანყებას, და მზათ არიან თუ აქაც დაკრავს საათი აჯანყებისა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოლონ. არ ახსოვთ უწინ ეებურათ საშობაო და საახალწლო სამზადისი, მისი ადგილი შეიარაღებულ აჯანყებაზე ფიქრმა დაიკავა; აღარ ისმის ძველებური უდარდელი „მრავალ ჟამიერი“, მისი ადგილიც სარევოლიუციო სიმღერებმა დაიკავეს; ერთი სიტყვით, თვით ჰაერიც კი რევოლიუციის სუნით არის გაჟღენთილა.

წასულ კვირაში თითო საასისთაოდან ამოირჩიეს სამ-სამი კაცი, ისეთი პირები, რომელთაც თავისი მიწა არ ყოფნით და სხვისაშიდ მუშაობენ. ესენი მოაწესრიგებენ გლეხთა და მემამულეთა შორის საადგილმამულო კითხვებს. ამავე ღდეს აღკრძალეს საამხანაგო სავაჭვო „ანგარიშშიდ“ ღვინის სმა. ვისაც ღინდა სახლში წაიღებს ღვინოს და შიგკი არ იქნება სმა. ვინც ამ წესს დაარღვევს გადახდება ჯარიმათ 5 მ., რომელიც მიემატება იარაღისათვის შეკრებილ თანხას.

სკოლების საქმე ისევ აწეწილ-დაწეწილია. რადგან ამ პირობებში ნორმალურათ სწავლის გაგრძელება შეუძლებელია, — და რადგან ისედაც გაღატაკებულ ხალხს ორივე სკოლების — ქალებისა და ვაჟების შენახვა არ შეუძლია, — და რადგან ყავდა ბავშვი სკოლაში გლეხს თუ არა მაინც იხდიდა გადასახადს, — ამისათვის დაადგინეს: ვისაც სურს ბავშის სწავლა მან დაიქირაოს მასწავლებელი და ასწავლოს ა ალის პროგრამით. ამ წესით სწავლა მეორე დღესვე განახლდა.

რედაქტორ - გამომცემელი
გ. ლორთქიფანიძე.

განცხადება.

ჟურნალ-გაზეთების ხელ ი ს ხ ელ ო ბ ა

საყურადღებოთ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„კოლხიდა“-ში

რომელიც დაარსებულია იმ მიზნით, რომ გაუადვილოს მკითხველებს ჟურნალ-გაზეთების გამოწერა მთელ გუბერნიაში, ვიღებ ხელის მოწერას როგორც თფილისის, ისე სატახტო ქალაქების გამოცემებზე. ხელის მომწერნი რედაქციებში ფულის გასაგზავნს აღარ იხდიან. კანტორა აწარმოებს აგრეთვე გაზეთების გაყიდვის საქმეს, როგორც კანტორაში, ისე გამყიდველების საშვალებით ქუჩებში. ყველა ნაირი გაზეთები იყიდება იმ ფასებში, რაც ზედ არის აღნიშნული.

ისიდორე კვიცარიძე

სადღესასწაულო წიგნები

ქალაქის ბაღში ქუთათურ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში 19 დეკემბრიდან განახლდება ვაჭრობა განსაკუთრებით სოციალდემოკრატიულ და საპოლიტიკო ეკონომიურ წიგნებით. მივიღეთ მრავალი წიგნები „ბურევესტნიკის“, „დონსკაია რეჩის“, „ობრაზოვანიეს“, „ნოვაია ზარიასი“ და სხვების.

კიოსკის გამგე **ვ. გადილია**

ორშაბათს, 2 იანვარს, ქუთ. ქართ. წარმ. მმართვ. ამხ. დასის მიერ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

გაზაფხულის ნაღვარი

დრამა 4 მოქ. თარგმანი რუსულიდან ვ. გუნიას მიერ.

დასაწყისი რვა საათზე.

ქუთაისი. ელექტრონით სწრაფმბეჭდავი ი. ჯილაძის და ი. სულაძისა, პუშკინის ქუჩა, შანკის შენობაში.